

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №16

21.06.2018 წ.

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. ვახტანგ ლომჯარია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორი;
2. ნიკოლოზ არაგველი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის (ლ. ჟორჟოლიანი) კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორის (ვ. ლომჯარია) ინფორმაციის მოსმენა დედაქალაქის ტერიტორიაზე მოზინადრე უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებით

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორი ვახტანგ ლომჯარია/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორის (ვ. ლომჯარია) ინფორმაციის მოსმენა დედაქალაქის ტერიტორიაზე მოზინადრე უპატრონო ძაღლებთან დაკავშირებით

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ერეკლე კუხიანიძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის ტერიტორიაზე მოზინადრე უპატრონო ცხოველების თემასთან დაკავშირებით ინფორმაციის წარსადგენად სხდომაზე მოწვეული არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ ხელმძღვანელი პირები, რომლებიც, ინფორმაციის წარდგენის შემდეგ პასუხს გასცემენ საკრებულოსა და კომისიების წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარადგინა ბატონმა ვახტანგ ლომჯარიამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას დედაქალაქისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან, აქტუალურ და პრობლემურ თემასთან დაკავშირებით სხდომის მოწვევისთვის.

ბატონმა ვ. ლომჯარიამ ინფორმაციის სახით, დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ საკმაოდ სერიოზულ მიდგომას და სამუშაოებს საჭიროებს დედაქალაქში ბინადარი ცხოველების (განსაკუთრებით, ძაღლების) ჰიპერპოპულაციის მართვის საკითხი. მართალია, წინა წლებში განხორციელდა უპატრონო (ქუჩის) ძაღლების აღრიცხვა (დათვლა) 5 რაიონის კონკრეტული უბნების მიხედვით და დადგინდა მიახლოებითი რაოდენობა (რომელიც 50 000-მდე ძაღლს ითვლის), მაგრამ სააგენტოს პოზიციით, აუცილებელია განხორციელდეს უპატრონო ცხოველების ხელახალი აღრიცხვა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება. გარკვეული ობიექტური

მიზეზებიდან გამომდინარე (მეთოდოლოგიის შემუშავება, ფინანსური (საბიუჯეტო) რესურსის მოძიება, შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა), სააგენტო აღნიშნული სამუშაოების განხორციელებას მომავალი წლიდან გეგმავს. თუმცა, გარდა ცხოველების რაოდენობის აღრიცხვისა, ჰიპერპოპულაციის მართვისთვის აუცილებელია სხვადასხვა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, რაც მოიცავს, ერთიანი, სახელმწიფო და მუნიციპალური გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დედაქალაქში არსებული ცხოველების პოპულაციის მართვის ეფექტიანობას, მეორე მხრივ, მთლიანად სახელმწიფოში დაარეგულირებს ცხოველთა ჰიპერპოპულაციის მართვის პრობლემას. რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პოპულაციების მართვის მიზნით ხორციელდება სათანადო ღონისძიებები (მაგ., კასტრაცია-სტერილიზაციის ოპერაციები), რეგიონებიდან და დედაქალაქის მეზობელი მუნიციპალიტეტიდან (კახეთიდან, ქვემო და შიდა ქართლიდან, მცხეთა-მთიანეთიდან) მიგრირებული ცხოველები ხელს უწყობენ პოპულაციის ზრდას.

მომხსენებელმა ისაუბრა მიგრაციისა და პოპულაციის ზრდის გამომწვევ მიზეზებზე და აღნიშნა, რომ ძირითადი მიზეზი არის საკვების მოპოვება, რომელიც ცხოველისთვის უფრო ადვილად მოსაპოვებელია დიდ ქალაქებში. გარდა ამისა, პოპულაციის ზრდას ხელს უწყობს ასევე ე.წ. პატრონიანი ცხოველის ცხოველის (მაღლის) ქუჩაში მოხვედრა (გაშვება) სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგ., ცხოველის მოვლა-პატრონობის შეუძლებლობა). ასეთი მაღლი კი, თუ მას სტერილიზაციის ან კასტრაციის ოპერაცია არ აქვს ჩატარებული, პოპულაციის გამრავლებას უწყობს ხელს. შესაბამისად, სახელმწიფო დონეზე საკანონმდებლო აქტების არარსებობის გამო ძნელია სიტუაციის დარეგულირება. ამჟამად მიმდინარეობს „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც ცხოველის მოშენების საკითხს დაარეგულირებს ლიცენზირების გზით. ხოლო პოპულაციის მართვის ყველაზე ეფექტიან და ჰუმანურ მეთოდად დაასახელა კასტრაცია-სტერილიზაცია, რომელიც გარდა პოპულაციის კონტროლისა, საკმაოდ კარგად აისახება თავად ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლისუნარიანობაზეც. გასტერილებული ცხოველი 3-4 წლით მეტს ცხოვრობს, ნაკლებაგრესიულია და დომინირების ინსტიქტი უქვეითდება.

სტერილიზაცია-კასტრაციასთან დაკავშირებით, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ დამატებით აღნიშნა, რომ მუნიციპალურ თავმჯდომარეში საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისად ტარდება სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციები. მან მაგალითად მოიყვანა წინა წლებში და მიმდინარე წელს ჩატარებული ოპერაციების (სტერილიზაცია/კასტრაცია) რაოდენობას შორის არსებული სხვაობა და აღნიშნა, რომ თუ წინა წლებში ტარდებოდა 6-7 ოპერაცია დღეში, მიმდინარე წელს აღნიშნული ოპერაციების რაოდენობა გაიზარდა 15-მდე. გარდა ამისა, დაემატა 1 საოპერაციო ოთახი. ასევე, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ვეტ.ექიმების შენარჩუნების მიზნით, გაიზარდა მათი ხელფასები, რაც ხელს შეუწყობს უპატრონო ცხოველების რაოდენობის კონტროლს (შემცირებას) და პოპულაციების მართვას. ხოლო უახლოეს პერიოდში კიდევ 1 მაღალი

კვალიფიკაციის ვეტ.ექიმის დასაქმება იგეგმება, რაც უფრო გაზრდის სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციების რაოდენობას.

კერძო ვეტ.კლინიკებში ოპერაციების დროს გამოყენებული საანესთეზიო მედიკამენტებისა და სასტერილიზაციო საშუალებების თაობაზე, ბატონმა ვ. ლომჯარიამ განმარტა, რომ შესაბამისი პრეპარატების ნუსხა დამტკიცებულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ხოლო ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს კომპეტენციას სცილდება ვეტ.კლინიკების მონიტორინგი და შემოწმება.

მომხსენებლის (ვ. ლომჯარიას) მიერ ასევე ყურადღება გამახვილდა ცხოველის ჰუმანური გზით ევთანაზიის თემაზე და აღნიშნა, რომ საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების მიზნით, ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა და აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან როგორც უცხოელი სპეციალისტები, ასევე ადგილობრივი ცხოველთა დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმონადგენლები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ ისაუბრა ცხოველთა მოყვარულების (მეპატრონეების) მხრიდან ცხოველთა მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის ფაქტებზეც და აღნიშნა, რომ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, ძირითადად, ორ პრობლემას აწყდება:

პირველი, საზოგადოებრივ სივრცეებში ჰიგიენის დაცვის პრობლემა, ამ მხრივ, კანონი ლმობიერია და საჭიროებს გადახედვას და მეორე, ადამიანის მიერ ცხოველის შემგროვებლობა. აღნიშნული პრობლემა, ხშირ შემთხვევებში, უფრო ქუჩაში მაცხოვრებელი ადამიანების მხრიდან იქმნება. ასეთ შემთხვევაში, ადამიანი ცხოველებს აგროვებს საკუთარი ე.წ. საცხოვრებელი ტერიტორიის (დროებითი თავშესაფრის) დაცვის მიზნით. შესაძლოა, ასეთმა ცხოველმა ადამიანს ზიანი არ მიაყენოს, მაგრამ მომეტებული აგრესიული ქცევით აშინებს მოქალაქეებს. შესაბამისად, ამ მიმართულებითაც საჭიროა საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება.

ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ ასევე ისაუბრა იმ საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობის თაობაზეც, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთი მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების გადახედვის (გამკაცრების) მიზნით და მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დარეგულირებული, იდენტური სამართალდარღვევების გამიჯვნისა და დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიმართულებით.

მომხსენებელმა მოიყვანა სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის გამკაცრების აუცილებლობის საფუძვლები და აღნიშნა, რომ საკმაოდ ხშირად ფიქსირდება ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტები, თუმცა, არცერთ მათგანზე დამნაშავე პირი არ დასჯილა. დაფიქსირებულია საფანტისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ცხოველების დაჭრის 2 ფაქტი, ასევე, კისტის თოფით მიყენებული ჭრილობების გამო მოკლული ცხოველის 1 ფაქტი და ინტერნეტ სივრცეში (სოციალურ ქსელებში) ვიდეო

ჩანაწერით გაგრძელებული ცხოველზე მანქანით გადავლის 1 ფაქტი. ამ უკანასკნელზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს მოკვლევა და ამ ეტაპზე დგინდება ბრალეულობის საკითხი.

ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა) ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევისთვის საკმაოდ დაბალია და საჭიროებს გადახედვას. აღნიშნული მიმართულებით, მომხსენებელმა მოიყვანა კონკრეტული ფაქტი, როდესაც მთის მეცხვარული ჯიშის (ე.წ. „მეცხვარე“) მდედრი ძაღლის პატრონმა მუნიციპალურ თავშესაფარში ჩააბარა ცხოველი და ითხოვა მისი დაძინება (ევთანაზია) მხოლოდ იმიტომ, რომ ცხოველს გამრავლების პერიოდი გასული ჰქონდა, ხოლო მეპატრონეს ძაღლი მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით ჰყავდა სახლში. ასეთ შემთხვევებში, საჭიროა როგორც კონკრეტული ქმედების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, ასევე, შესაბამისი სახდელის (ჯარიმის) დაწესება-გამკაცრება.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ცხოველის მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის მარეგულირებელი ნორმის შემადგენლობის შესახებ.

ბ-ნი ლ. ჟორჟოლიანის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ ცხოველთა კონტროლისა და რეგულირების დეპარტამენტის უფროსმა **ბ-ნმა ნიკოლოზ არაგველმა**, რომლის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას მოქალაქის დაჯარიმება ხდება შრომის ანაზღაურების მეხუთედ მინიმალურ ოდენობამდე, რაც 8 ლარს შეადგენს, ხოლო ამავე მუხლის მესამე ნაწილით განსაზღვრულია წლის განმავლობაში განმეორებით ჩადენილი ქმედებისთვის (რეციდივი) სახდელის (ჯარიმის) ოდენობა, რომელიც შეადგენს 50 ლარს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამავე კოდექსის 2093 მუხლის თანახმად, 103-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას (დაჯარიმებას) ახდენენ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი თანამშრომლები, რომლებიც შეტყობინების (მოქალაქეთა მიმართვიანობის ან/და 112-ის მეშვეობით განხორციელებული სატელეფონო ზარის) საფუძველზე ადგილზე ახდენენ სამართალდარღვევის საქმეების გარკვევასა და სამართალდამრღვევისთვის სახდელის (ჯარიმის) შეფარდებას.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა - საკანონმდებლო ცვლილებების 4 მიმართულებით განხორციელების აუცილებლობის თაობაზე და აღნიშნა, რომ პირველი, საჭიროა მუშაობა წარიმართოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსით დარეგულირებული, იდენტური სამართალდარღვევების გამიჯვნისა და დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიმართულებით, მეორე, თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლში უნდა განხორციელდეს ცვლილება და მოხდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კლასიფიკაცია ჩადენილი დარღვევის სიმძიმის მიხედვით, მესამე, უნდა დაწესდეს განსხვავებული საჯარიმო სანქციები და ჯარიმის ოდენობა განისაზღვროს ქმედების ადეკვატურად და მეოთხე, საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის გამკაცრება. გარდა ამისა, ბ-ნმა ლევან ჟორჟოლიანმა ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს შესთავაზა დახმარება საკანონმდებლო ცვლილებების სამართლებრივი ექსპერტიზისა და პარლამენტში ინიცირების საკითხთან დაკავშირებით.

ბ-ნი ვ. ლომჯარიას განმარტებით, საკანონმდებლო ცვლილებების საკითხთან დაკავშირებით, კონსულტაციები მიმდინარეობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ქ-ნ მ. ბითაძესთან.

შეკითხვები დასვა:

ბ-ნმა გიორგი ჩაკვეტაძემ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 ივნისის №21-74 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში (№6-8 დადგენილება 15.12.2017წ.) განხორციელებული ცვლილების შედეგად, ასიგნებების ნაწილში (მუხლი 8, კოდი: 09 02) ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ბიუჯეტის 167,000 (ას სამოცდაშვიდი ათასი) ლარით გაზრდის გამომწვევი მიზეზებისა და აღნიშნული თანხის მიზნობრივად გამოყენების (შესაბამისი მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეძენის) თაობაზე;
- ზაფხულის პერიოდში, მომეტებული საფრთხის მატარებელი ქვეწარმავლებისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი გ. ჩაკვეტაძის მიერ დასმულ შეკითხვებს, უპასუხა ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ, რომლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 ივნისის №21-74 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, მონიტორინგის სააგენტოს ასიგნებების ნაწილში (კოდი: 09 02), ცვლილება განხორციელდა (167 000 ლარით გაიზარდა), ძირითადად, სააგენტოს საქმიანობისთვის საჭირო ავტოპარკის განახლების მიზნით. კერძოდ, სააგენტოს ბალანსზე რიცხული სპეც.ავტომანქანები ამორტიზებულია და შესაბამისი ეკიპაჟის გასვლა გამოძახებებზე ყოვნდება ავტომობილების უკმარისობის გამო. შესაბამისად, სააგენტოს ეფექტიანი საქმიანობისთვის, განხორციელდება ავტომანქანების შესყიდვა.

ზაფხულის პერიოდში, საფრთხისშემცველი (შხამიანი) ქვეწარმავლებისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით, უკვე ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. ზუსტად ამას ემსახურებოდა, სააგენტოს ინიცირებით 2018 წლის 25 მაისს №19-65 დადგენილებით

განხორციელებული ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესში“, რომლის თანახმად, რეპელენტებით დამუშავების მომსახურების ტარიფები შემცირდა და ხელმისაწვდომი გახდა ყველა კატეგორიის დაინტერესებული პირებისთვის (მოსახლეობა, მუნიციპალური და სახელმწიფო ორგანოები, იურიდიული პირები).

ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ ასევე ისაუბრა სააგენტოში დასაქმებულ კვალიფიციურ სპეციალისტებზე, რომლებიც 24საათიანი გრაფიკით ემსახურებიან მოსახლეობას და ოპერატიულად რეაგირებენ შეტყობინებებზე. ასეთი შეტყობინების საფუძველზე, მიმდინარე წელს, მაისი-ივნისში თვეში, ფონიჭალის ტერიტორიაზე მოხდა შხამიანი გველის - გიურზის დაჭერა და მისი უსაფრთხო გარემოში გაშვება. იმის გამო, რომ გიურზა, როგორც გადაშენების პირას მყოფი სახეობა, წითელ წიგნშია შეყვანილი, მისი განეიტრალება (მოკვდინების გზით) აკრძალულია. გარდა ამისა, უკვე მიმდინარეობს შესაბამის რაიონულ გამგეობებთან მუშაობა, მუნიციპალური ტერიტორიებისა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების რეპელენტებით შეწამვლის მიმართულებით. ყველზე მაღალი რისკის ზონას განეკუთვნება კრწანისის რაიონი, მათ შორის, თავად გამგეობის შენობაც. მაისში მოსული უხვი ნალექის გამო, რეპელენტებით დამუშავებული ტერიტორიების ხელახალი დამუშავება გახდა საჭირო, რადგან წვიმიანობის გამო, სპეციალური პრეპარატების მოქმედების ეფექტიანობა დაეცა.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გ. ჩაკვეტაძემ - ურბანული გარემოდან ამოღებული საშიში (შხამიანი) ქვეწარმავლების ისევ გარემოში დაბრუნების (გაშვების) ნაცვლად, შესაბამისი დაწესებულებებისთვის (მაგ., ზოოლოგიური პარკისთვის) გადაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

ბ-ნი ვ. ლომჯარიას განმარტებით, იმის გამო, რომ ზოოლოგიურ პარკში საკმარისზე მეტი რაოდენობის ამ სახეობის (გიურზა) ქვეწარმავალია მოთავსებული, - რომელიც ასევე, სააგენტოს მიერ, სხვადასხვა დროს, ურბანული გარემოდან ამოღების (დაჭერის) შემდეგ გადაეცა ზოოპარკს, - სააგენტო იძულებულია, შხამიანი ქვეწარმავალი გაუშვას მოსახლეობისგან მოშორებულ ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში, ქვეწარმავლებს უშვებენ ლაგოდების ნაკრძალში.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ - მუნიციპალურ თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველისთვის (მაღლისთვის) შესაბამისი პროცედურების (სტერილიზაცია-კასტრაციის ოპერაციის) ჩატარებიდან უმოკლეს დროში მისი ურბანულ გარემოში დაბრუნების მიზანშეწონილობის შესახებ.

ბატონი ვ. ლომჯარიას განმარტებით, სააგენტოს დებულების მე-3 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს თანამშრომლების მიერ უპატრონო/უმეთვალყურეო ცხოველის აყვანისა და თავშესაფარში გადაყვანის პროცედურები. კერძოდ, მუნიციპალურ თავშესაფარში ცხოველის გადაყვანისას, მას უტარდება შესაბამისი მანიპულაციები (დაკვირვება, სტერილიზაცია-კასტრაცია ოპერაცია - ასეთის საჭიროების შემთხვევაში, ვაქცინაცია), რომლის დასრულების შემდეგ, ისევ ცხოველის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მიზნით, რაც შეიძლება მოკლე ვადაში ხდებოდა მისი პირვანდელ საცხოვრებელ გარემოში ან სხვა ურბანულ გარემოში დაბრუნება.

ბ-ნი ნ. არაგველის დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ შესაბამისი ოპერაციების (სტერილიზაცია-კასტრაცია) ჩატარებიდან მეორე დღეს ზრდასრული ძაღლები ბრუნდებიან ურბანულ გარემოს, ხოლო ლეკვები - იმავე დღეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ ისაუბრა დედაქალაქში მოქმედი ცხოველთა ბაზრობის (დიდმის ტერიტორია) საკითხის მოწესრიგების აუცილებლობაზეც და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც საკმაოდ დიდ პრობლემას აწყდება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, რაც, ასევე, სამართლებრივ დონეზე გადაწყვეტასა და გრძელვადიანი ხედვის შემუშავებას საჭიროებს.

აზრი გამოთქვა:

ქ-ნმა ელენე ოზაშვილმა, რომელმაც ისაუბრა გლდანის ტერიტორიაზე, დასახლებულ უბანში, ადამიანების, მათ შორის მისი მცირეწლოვანი შვილის, უპატრონო ძაღლის მიერ დაკბენის ფაქტებზე და აღნიშნა, რომ ინციდენტი უკვე სისტემატიურ ხასიათს იღებს. სააგენტოსთვის შეტყობინების მიწოდების შემდეგ, სააგენტოს ოპერატიული ჯგუფი ადგილზე მივიდა და აგრესიული ცხოველები (ძაღლები) გადაიყვანა თავშესაფარში. თუმცა, სამწუხაროდ, 10 დღის გასვლის შემდეგ, ძაღლები ისევ პირვანდელ ტერიტორიაზე დააბრუნეს. მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლები ცხოველების უკან დაბრუნების გამო აღშფოთებას გამოხატავენ და მოითხოვენ აგრესიული ძაღლების ტერიტორიიდან გაყვანას. თუმცა, მოსახლეობა არც იმას ემხრობა, რომ აგრესიული ცხოველები გადაყვანილნი იქნან სხვა ტერიტორიაზე, სადაც შესაძლებელია, იგივე განმეორდეს და კიდევ სხვა ადამიანები დაზარალდნენ.

ბ-ნი ვ. ლომჯარიას განმარტებით, აღნიშნული ტერიტორიიდან გადაყვანილი ცხოველები მოთავსდნენ ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში შემდგომი დაკვირვებისა და კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით. თუმცა, სააგენტომ იხელმძღვანელა რა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილების მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცხოველები ურბანულ გარემოში დააბრუნეს დაინტერესებული პირის (მიმკვდლებლის) მოთხოვნის საფუძველზე. ხოლო, თუ ცხოველებმა განმეორებით

გამოავლინეს აგრესია (დაკბინეს მოსახლეობა), მონიტორინგის სააგენტო, შეტყობინების საფუძველზე, აუცილებლად მოახდეს რეაგირებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ვ. ლომჯარიამ დამატებით განმარტა, რომ სააგენტო მუშაობს კიდევ ერთი მიმართულებით. თუ კონილოგის მიერ დადგინდება, რომ ცხოველის ქცევის კორექცია შეუძლებელია ან ძნელად ექვემდებარება კორექციას, კონილოგის დასკვნის საფუძველზე, შესაძლებელი გახდეს ასეთი ცხოველის შესაბამისი ფუნქციით (მცველის ფუნქციით) გამოყენება და მისი გაჩუქება.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, რომელმაც ისაუბრა ცხოველებში მომეტებული აგრესიის მიზეზებსა და შედეგებზე, ხოლო კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჭიროა შესწავლილი იქნას სიტუაცია და ცხოველებზე დაკვირვების გზით დადგინდეს, რატომ ავლენენ ეს ძაღლები აგრესიას მხოლოდ პირვანდელ ურბანულ გარემოში დაბრუნების შემდეგ.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ცხოველის მიერ აგრესიის გამოვლენის სხვადასხვა მიზეზებზე (მაგალითად, საკვების მოპოვება, გამრავლების პერიოდი, დომინირების ინსტიქტი, მისი ქცევის კორექციის არარსებობა, თავდაცვის ინსტიქტი) და აღნიშნა, რომ აუცილებელია მოქალაქეებს მიეწოდოს ინფორმაცია ცხოველებთან მოქცევის წესების თაობაზე.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ასევე ისაუბრა მეპატრონის მიერ ძაღლის სოციალური ქცევის კორექციის (აღზრდის) საკითხზე. კერძოდ, სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოექცეს ძაღლის აღზრდის საკითხი და პატრონმა საკუთარი ძაღლის ქცევის კორექციის (აღზრდის) ვალდებულება უნდა აიღოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ორი მიმართულებით მუშაობა: პირველი, მომეტებული აგრესიის მქონე ისეთი ჯიშის ძაღლების საკუთრება/მფლობელობაში გადაცემისას მეპატრონის/მფლობელის მზაობის დადგენა და ასეთი ჯიშის ცხოველის ქცევის კორექციის ვალდებულების დაწესება, და მეორე, საკუთრებაში არსებული ცხოველის მიერ ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში პატრონისთვის შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის გამკაცრება (ჯარიმის გაზრდა). ამ შემთხვევაში, საჭიროა თუნდაც ლიცენზირების წესის შემოღება, რათა ადამიანმა, ძაღლის აყვანამდე, კარგად გაიზროს: პირველი, რომელი ჯიშის ძაღლის ყოლა სურს და შეუძლია თუ არა მისი მოვლა-პატრონობა; მეორე, უზრუნველყოს ცხოველის ქცევის კორექცია; და მესამე, საზოგადოება უფრო მეტად იქნება დაცული ცხოველის მიერ აგრესიის გამოვლენისაგან.

სხდომის ბოლოს, ბ-ნმა ვ. ლომჯარიამ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ცხოველთა კერძო თავშესაფრებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების მიზნით, გარკვეული, დაინტერესებული ჯგუფის მიერ ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის დისკრედიტაციის მცდელობის თაობაზე. აღნიშნული ჯგუფი, დამახინჯებულ

ინფორმაციას ავრცელებს ინტერნეტ-პორტალებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით და ამ გზით ცდილობს, მოიპოვოს სახელმწიფო დაფინანსება ცხოველთა კერძო თავშესაფრებისთვის.

ინფორმაციის მოსმენისა და კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორის (ვ. ლომჯარია) ინფორმაცია დედაქალაქის ტერიტორიაზე მოზინადრე უპატრონო ძაღლების თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1


ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვეტეს:

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ დირექტორის (ვ. ლომჯარია) ინფორმაცია დედაქალაქის ტერიტორიაზე მოზინადრე უპატრონო ძაღლების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ერეკლე კუხიანიძე